ბავშვის აღზრდის პროცესში დედისა და მამის როლების შესახებ შეხედულებების კვლევა

ნინო გაგელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო გაგელიძე

22.06.2021

აბსტრაქტი

მშობლები ბავშვის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ. ისინი არიან პირველი შუამავლები გარემოსთან ურთიერთობაში და თავადაც წარმოადგენენ მის ნაწილს. მშობლების ქცევა განპირობებულია მრავალი ფაქტორით, მათ შორის, კულტურაში არსებული მოლოდინებით დედისა და მამის როლების შესახებ. კვლევა მიზნად ისახავდა 1) შეესწავლა ბავშვის აღზრდის პროცესში დედებისა და მამების როლების შესახებ არსებული შეხედულებები და 2) მოეხდინა შვილების სქესიდან გამომდინარე აღზრდის განსხვავებული მიდგომების იდენტიფიცირება. თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა მონაწილეობა მიიღო 14-მა რესპონდენტმა. მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზის ინდუქციური მეთოდით.

გამოიკვეთა გარკვეული განსხვავებები დედებისა და მამების როლებისა და პრაქტიკების ჭრილში, მათ შორის, ბავშვის სქესთან მიმართებაშიც. უმეტეს შემთხვევაში, ამ განსხვავებების უკან იდგა საზოგადოებაში არსებული შეხედულებები ქალისა და კაცის გენდერული როლების შესახებ. შესაბამისად, შედეგები დაიყო სამ ჯგუფად - დედისა და მამის როლებს შორის განსხვავებები, განსხვავებები ბავშვის სქესიდან გამომდინარე და ცვლილებები, რადგან გამოჩნდა, რომ საზოგადოებრივი ნორმები და მოლოდინები ცვლილებებს განიცდის, რაც საბოლოოდ ორიენტირებულია დედებისა და მამების როლებს შორის მკვეთრი განსხვავების შემცირებაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დედის როლი, მამის როლი, აღზრდა, მშობლობა, შეხედულებები, წარმოდგენები, რწმენები, საზოგადოებრივი ნორმები, გენდერული როლები, ბავშვის სქესი, ქალის როლი, კაცის როლი, ტენდენცია, ცვლილება.

Abstract

Parents play an important role in the process of a child development. They are first mediators in relation with the environment and are part of it at the same time. Parental behavior is driven by many factors including cultural expectations regarding the roles of a mother and a father. The study aimed to: 1) examine perceptions of the roles of mothers and fathers in the process of upbringing and 2) identify different approaches of parenting based on the sex of the children. 14 respondents participated in the qualitative study. Data were processed by inductive method of thematic analysis.

Some differences were identified in the roles and practices of mothers and fathers, also different parenting approaches were found based on the sex of the children. For the most part these differences were driven by societal perceptions about the gender roles. Accordingly, the results were divided into three groups: 1) differences between the roles of mother and father, 2) differences based on the sex of the child and 3) changes – as societal norms and expectations appear to be going through some changes, ultimately reducing the sharp differences between mothering and fathering practices.

Keywords: Mothering, Fathering, upbringing, parenting, perceptions, beliefs, social norms, gender roles, sex of the child, female gender role, male gender role, tendency, change.

მადლობა

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ნინო სხირტლაძეს, რომელიც მთელი ამ პროცესის განმავლობაში ოპერატიულად მაძლევდა სწორ მიმართულებასა და კონსტრუქციულ უკუკავშირს. ამას გარდა, მისგან მუდმივად ვგრძნობდი მორალურ მხარდაჭერას, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია საკვალიფიკაციო ნაშრომის წერისას.